პრეზიდენტი
ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
პირველი მრჩეველი

ამოიცანი, დაიმახსოვრე და გადაუხადე მადლობა

ღმერთი გვთხოვს, რომ ვიყოთ მისი მადლიერნი ყოველი დალოცვისთვის, რომელსაც მისგან ვიღებთ. ჩვენთვის ადვილია მექანიკურად დავიწყოთ მადლიერების გამოხატვა ლოცვებში, ხშირად გავიმეოროთ ერთი და იგივე სიტყვები და არ ვიქონიოთ იმის ზრახვა, რომ გამოვუხატოთ ღმერთს ჩვენი მადლიერება, როგორც გულის ძღვენი. ჩვენ უნდა გამოვხატოთ მადლიერება . . . სულში (მოძღვრება და აღთქმები 46:32), რათა ვიგრძნოთ ნამდვილი მადლიერება იმისთვის, რაც ღმერთმა გვიბოძა.

როგორ შეიძლება გვახსოვდეს თუნდაც მცირედი ნაწილი იმისა, რაც ღმერთმა გააკეთა ჩვენთვის? მოციქულმა იოანემ ჩაიწერა, თუ რა გვასწავლა მხსნელმა დამახსოვრების ნიჭის შესახებ, რომელიც სულიწმინდის საშუალებით გვეძლევა: „ხოლო ნუგეშისმცემელი კი, სულიწმიდა, რომელსაც ჩემი სახელით მოავლინებს მამა, ყველაფერს გასწავლით და ყველაფერს გაგახსენებთ, რაც თქვენთვის მითქვამს“ (იოანე 14:26).

სულიწმინდა გვახსენებს იმას, რაც გვასწავლა ღმერთმა. ღვთის სწავლების ერთ-ერთი ხერხი კი მისი კურთხევებია; ასე რომ, თუ ჩვენ გავაკეთებთ არჩევანს–გამოვავლინოთ რწმენა, სულიწმინდა შეგვახსენებს ღვთის სიკეთეს.

თქვენ შეგიძლიათ ეს გამოსცადოთ დღეს, ლოცვაში. თქვენ შეგიძლიათ მიჰყვეთ ბრძანებას „ყველაფრისთვის მადლობა გადაუხადე უფალს, შენს ღმერთს“ (მოძღვრება და აღთქმები 59:7).

პრედზიდენტმა ეზრა ტაფთ ბენსონმა (1899-1994) თქვა, რომ ლოცვა ამის განსახორციელებლად ქმნის საჭირო დროს. მან თქვა: ‘წინასწარმეტყველმა ჯოზეფმა ერთხელ ბრძანა, რომ ერთ-ერთი უდიდესი ცოდვა, რომლის გამოც უკანასკნელი დღეების წმინდანები იქნებიან ცოდვილნი, არის უმადურობის ცოდვა. მე ვვარაუდობ, რომ ჩვენს შორის უმეტესობას ეს არ მიაჩნდა დიდ ცოდვად. ჩვენს შორის ჩამოყალიბდა ტენდენცია უფლის მიმართ ლოცვაშიც და ვედრებაშიც ვითხოვოთ უფრო მეტი დალოცვა. ზოგჯერ ვგრძნობ, რომ ჩვენ ლოცვების უფრო დიდი ნაწილი უნდა მივუძღვნათ მადლიერებას იმ ლოცვა-კურთხევებისთვის, რომლებიც უკვე მივიღეთ.“[1]

თქვენ შეგიძლიათ დღეს მიიღოთ მსგავსი გამოცდილება სულიწმინდის ძღვენთან დაკავშირებით. თქვენ შეგიძლიათ დაიწყოთ პირადი ლოცვა მადლიერებით. თქვენ შეგიძლიათ დაიწყოთ თქვენი ლოცვა-კურთხევების ჩამოთვლა და შემდეგ ერთი წუთით შეჩერდით. თუ თქვენ რწმენას

ამჟღავნებთ, სულიწმინდის ძღვენის დახმარებით აღმოაჩენთ, რომ სხვა ლოცვა-კურთხევები ყოველი ძალისხმევის გარეშე გაგახსენდებათ. თუ თქვენ დაიწყებთ ყოველი ლოცვა-კურთხევის მიმართ მადლიერების გამოხატვას, თქვენი ლოცვა ჩვეულებრივზე ცოტა მეტ ხანს გაგრძელდება. კურთხევები გაგახსენდებათ კიდევაც და ამას მადლიერებაც მოჰყვება.

თქვენ შეგიძლიათ იგივე მოიმოქმედოთ, როცა დღიურში ჩანაწერს აკეთებთ. სულიწმინდა ამაში დასაბამიდან ეხმარებოდა ადამიანებს. თქვენ გახსოვთ, რომ მოსეს წიგნში წერია: „და ხსოვნის წიგნი იწერებოდა ადამის ენაზე, რამეთუ იგი მიეცა ყველას, ვინც ღმერთს შესთხოვდა, რომ შთაგონების სულით დაეწერათ“ (მოსე 6:5).

პრეზიდენტმა სპენსერ ვ. კიმბალმა (1895–1985) ასე აღწერა ამ შთაგონებული წერის პროცესი: „მათ, ვინც წერენ მოგონებების წიგნს, თითქოს და უფრო ახსოვთ უფალი თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში. დღიურები წარმოადგენს ჩვენი ლოცვა-კურთხევების გახსენებისა და ჩამოთვლის ხერხს და ჩვენი შთამომავლებისთვის ამ ლოცვა-კურთხევების აღწერას.“[2]

როცა წერას დაიწყებთ, შესაძლოა ჰკითხოთ საკუთარ თავს: „დღეს როგორ დამლოცა ღმერთმა პირადად მე და ისინი, ვინც მე მიყვარს?“ თუ თქვენ ამას საკმარისად ხშირად რწმენით გააკეთებთ, თქვენ დაინახავთ, რომ გახსენდებათ ლოცვა-კურთხვები. და ზოგჯერ ისეთი რამ გაგახსენდებათ, რაც დღის განმავლობაში ვერ აღიქვით როგორც ძღვენი, მაგრამ ამჟამად გეცოდინებათ, რომ ეს ღმერთის ხელი იყო.

მე ვლოცულობ იმაზედ, რომ ჩვენ შეუწყვეტლივ ვცდილობდეთ რწმენით ამოვიცნოთ, გავიხსენოთ და მადლიერება გამოვხატოთ მამაზეციერისა და მხსნელის წინაშე იმისთვის, რაც მათ გააკეთეს და კიდეც აკეთებენ, რათა გაუხსნან შინ მიმავალი გზა.

შენიშვნები

1. ეზრა ტაფთ ბენსონი, *God, Family, Country: Our Three Great Loyalties* (1974), 199.
2. სპენსერ ვ. კიმბალი, “Listen to the Prophets,” *Ensign,* მაისი 1978, 77.

ამ მოწოდების სწავლება

ამ მოწოდებაში პრეზიდენტი აირინგი გვიწვევს ლოცვებში ვახსენოთ ზეციერი მამის სიკეთე. განიხილეთ მათთან, ვისაც ასწავლით, თუ როგორ გვეხმარება მადლიერებით აღსავსე ლოცვა ამოვიცნოთ ღმერთის ხელი ჩვენს ცხოვრებაში. მათთან ერთად, ვისაც ასწავლით, განიხილეთ მუხლის მოყრა ლოცვის დროს და შესთავაზეთ მას, ვინც ილოცებს, გამოხატოს მხოლოდ მადლიერება.

თქვენ ასევე შეგიძლიათ შეისწავლოთ მადლიერების მნიშვნელობა, თუ პრეზიდენტ ეზრა ტაფტ ბენსონის მიერ ნახსენებ მუხლებს დაამატებთ შემდეგ ამონარიდებს: ფსალმუნები 100; მოსია 2:19–22; ალმა 26:8; 34:38; მოძღვრება და აღთქმები 59:21; 78:19; 136:28.

ახალგაზრდები

ჩაატარეთ რევიზია

პრეზიდენტი აირინგი ციტირებს პრეზიდენტ სპენსერ ვ. კიმბალის (1895-1985) სიტყვებს, როცა ამბობს: “დღიურები წარმოადგენს ჩვენი ლოცვა-კურთხევების გახსენებისა და ჩამოთვლის ხერხს და ჩვენი შთამომავლებისთვის ამ ლოცვა-კურთხევების აღწერას.” 2012 წლის ოქტომბრის გენერალურ კონფერენციაზე პრეზიდენტმა თომას ს. მონსონმა გაგვიზიარა თავისი მოწმობა დღიურის მნიშვნელობის შესახებ. მან გაგვიზიარა თავისი ცხოვებიდან ზოგიერთი გამოცდილება. “დღიური, რომელსაც ამ წლების განმავლობაში ვავსებდი, დამეხმარა ისეთი სპეციფიკური დეტალების გახსენებაში, რომელთა გახსენებას სხვანაირად ვერ შევძლებდი.” მან მოგვცა რჩევა: “გადახედეთ თქვენს ცხოვრებას და გაამახვილეთ ყურადღება ლოცვა-კურთხევებზე, დიდსა თუ პატარებზე, რომლებიც ცხოვრებაში მიგიღიათ.” (“დაითვალეთ თქვენი დალოცვები”, *Liahona* და *Ensign,* 2012 წ.ნოემბერი, გვ.86). გაითვალისწინეთ ამ წინასწარმეტყველების ეს რჩევა და დაისახეთ მიზნად დღიურის შევსება.

მადლიერების გამოხატვის მრავალი ხერხი

"ყველგან, მთელს მსოფლიოში, დღის მიწურულს,
მამაზეციერის შვილები მუხლს იყრიან და ლოცულობენ,
ყველას მადლობის გამოხატვის საკუთარი გზა აქვს."

"Children All Over the World,"
Children's Songbook, 16.

გამოიყენეთ რუკა, რათა იპოვოთ ის ქვეყნები, რომლებშიც ამ ენებზე საუბრობენ. ზოგი ერთი ენათაგანი არა ერთ ქვეყანაში გამოიყენება.

1. გრაციას (ესპანური)

2. მალო (ტონგა)

3. სენქ იუ (ინგლისური)

4. შუქრია (ჰინდი)

5. სპასიბა (რუსული)

6. არიგატო (იაპონური)

7. ობრიგადო (პორტუგალიური)

8. ასანტე (სვოჰილი)

9. მერსი (ფრანგული)

© 2013 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი დამტკიცებულია: 6/12 თარგმანი *First Presidency Message, August 2013.* Georgian. 10668 131

კეთილდღეობა

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა, და შესაფერ დროს იმსჯელეთ მასზე თქვენს დებთან, მათთან სტუმრობისას. გამოიყენეთ მოცემული კითხვები, რათა განამტკიცოთ თქვენი დები და გადააქციოთ მოწყალების საზოგადოება თქვენი საკუთარი ცხოვრების აქტიურ ნაწილად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

საეკლესიო კეთილდღეობის პროგრამა გათვლილია იმაზედ, რომ ეკლესიის წევრები გახადოს დამოუკიდებელნი, მიხედოს გაჭირვებულებსა და ღატაკებს და გაუწიოს სხვებს მსახურება. კეთილდღეობის პროგრამა არის მოწყალების საზოგადოების მუშაობის ცენტრალური ნაწილი. პირველი პრეზიდენტობის პირველი მრჩეველი, პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგი გვასწავლიდა:

„დასაბამიდანვე უფალმა უზრუნველჰყო თავისი მოწაფეებისათვის დასახმარებელი გზა. მან მოიწვია თავისი შვილები, რათა სხვებისთვის მსახურებას შეწირონ თავიანთი დრო, საშუალებები და საკუთარი თავიც კი. . . .

ის გვთხოვს და გვიბრძანებს, რომ მივიღოთ მონაწილეობა მის საქმეში, რათა ფეხზე დააყენოს გაჭირვებულები. ჩვენ დავდეთ ამის აღთქმა ნათლობის წყლებში და ღმერთის წმინდა ტაძარში. ჩვენ ვანახლებთ ამ აღთქმას ყოველ კვირა დღეს ზიარების მიღებისას.[1]

ეპისკოპოსისა ან მრევლის პრეზიდენტის ხელმძღვანელობით ადგილობრივი ხელმძღვანელები ეხმარებიან ადამიანებს სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის საკითხებში. მსახურების შესაძლებლობანი ხშირად უჩნდებათ შინა მასწავლებლებს, რომლებიც ეძიებენ შთაგონებას იმისთვის, რომ გაიგონ, თუ როგორ უპასუხონ ყოველი დის, რომელთანაც ისინი სთუმრობენ, საჭიროებას.

წმინდა წერილებიდან

ლუკა 10:25–37; იაკობი 1:27; მოსია 4:26; 18:8–11; მოძღვრება და აღთქმები 104:18

ჩვენი ისტორიიდან

წინასწარმეტყველი ჯოზეფ სმითი 1842წ. 9 ივნისს მოწყალების საზოგადოების დებს დააკისრა ვალდებულება მოუტანონ „შვება ღარიბებს“ და „იხსნან სულები“.[2] ეს მიზნები კვლავ მოწყალების საზოგადოების ცენტრალური ნაწილია და გამოიხატება ჩვენს დევიზში: „მოწყალება უკვდავია“ (1 კორინთელთა 13:8).

ჩვენი მოწყალების საზოგადოების მეხუთე გენერალურმა პრეზიდენტმა, ემელინ ბ. უელსმა და მისმა მრჩეველებმა შემოიტანეს ეს დევიზი 1913წ. ჩვენი ძირითადი პრინციპების გასახსენებლად, რომლებიცაა:“ ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენი მიზანია მტკიცედ დავიცვათ წინასწარმეტყველი ჯოზეფ სმითის შთაგონებული სწავლებანი, როცა მან განაცხადა გეგმა, რომლის მიხედვითაც ქალებს (მღვდლობის წოდებების მეშვეობით)ეძლეოდათ ძალა დაჯგუფებულიყვნენ შესაბამის ორგანიზაციებში ავადმყოფების, გაჭირვებულების, მოხუცებულების, უცოდინარებისა და ობლების დასახმარებლად.“[3]

დღეს მოწყალების საზოგადოების დები მსოფლიოს ყოველ კუთხეში უწვდიან მოყვასს სათნოების, ქრისტეს სრულყოფილი სიყვარულის, ხელს. (იხ. მორონი 7:46–47).

შენიშვნები

1. ჰენრი ბ. აირინგი, “Opportunities to Do Good,” *Liahona* და *Ensign,* მაისი 2011, 22.
2. ჯოზეფ სმითი წიგნიდან *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 63.
3. *Daughters in My Kingdom,* 63.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. როგორ ვემზადები იმისთვის, რომ სულიერად და მიწიერად მოვუარო საკუთარ თავს და ოჯახს?

2. როგორ შემიძლია მივყვე მაცხოვრის მაგალითს მაშინ, როცა ვეხმარები დებს, რომლებიც მომაბარეს?

© 2013 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი *Visiting Teaching Message, August 2013.* Georgian. 10668 131